დანართიN1

„დამტკიცებულია“ სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის
აჭარის ტელევიზიისა და რადიოს” დირექტორის
2018 წლის 30 აპრილი N 02-03/66 ბრძანებით

საკონკურსო განცხადება

შესაძენი პროდუქცია: 7 (შვიდი) საგამოძიებო დოკუმენტური ფილმი 15 (თხუთმეტი) წუთიანი ქრონომეტრაჟის.
საჭიროების შემთხვევაში მაუწყებელი შესაძლებელია ჩაერთოს თემების არჩევაში.

განცხადების მიღების დაწყების თარიღი: 01 მაისი 2018 წელი

განაცხადების მიღების დასრულების თარიღი: 15 მაისი 2018 წელი

პროექტის განხორციელების პერიოდი: 2018 წლის ივნისიდან 2018 წლის დეკემბრის ჩათვლით.

დაფინანსების ოდენობა: კონკურსში გამარჯვებული დაფინანსდება 28 (ოცდარვა ათასი) ლარით დღგ-ს ჩათვლით, მათ შორის, თითოეული ფილმის დაფინანსების ოდენობა შეადგენს 4000 (ოთხი ათასი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.
ანგარიშსწორება ხორციელდება ხარჯთაღრიცხვის წამორდგენის შემდგომ. (იხ. შენიშვნა)

კონკურსში მონაწილეობა შეუძლია დამოუკიდებელი კერძო სამართლის იურიდიულ პირს.

ძირითადი მოთხოვნები:
ა)საგამოძიებო მასალებზე მუშაობის გამოცდილება. განმცხადებელმა უნდა წამოადგინოს მისი მიერ შექმნილი საგამოძიებო ხასიათის სულ მცირე 3 (სამი) ფილმი (ელექტრონული ფორმით).
ბ)განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს სულ მცირე 5 (ხუთი) საგამოძიებო დოკუმენტური ფილმის იდეა (მოკლე აღწერა წერილობითი ფორმით).
გ) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული)იურიდიულ პირთა რეესტრიდან.

გამარჯვებული განმცხადებლის მიერ მისაწოდებელი საგამოძიებო დოკუმენტური ფილმები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:
ა)თემის აქტუალობა, საზოგადოების ინტერესი პრობლემის მიმართ. უპირატესობა მიენიჭება აჭარის რეგიონის პრობლემატიკას.
გ) მასალები უნდა იყოს ექსკლუზიური და მომზადდეს ეთიკური სტანდარტების დაცვით.
დ)საგამოძიებო დოკუმენტური ფილმი უნდა იყოს Full HD 1920x1080 i 25 fps. Mpeg2 ხარისხის.
ე) მისაწოდებელი საგამოძიებო დოკუმენტური ფილმი უნდა შეესაბამებოდეს საზოგადოებრივი მაუწყებლის ქცევის კოდექსით დადგენილ სტანდარტებს.
ვ) მისაწოდებელი დოკუმენტური საგამოძიებო ფილმები უნდა იყოს:
ვ.ა.)ვებ-გვერდისათვის ადაპტირებადი:

- შესაძლებელია (ფილმიდან გამომდინარე), მომზადეს რამდენიმე სახის მასალა:

- სტატია (ტექსტი, სინქრონები, თემატური ფოტო), სტატია უნდა დაიწეროს ვიდეოკონტენტისგან დამოუკიდებლად.
- სასურველია სტატიის წერის დროს გაითვალისწინოს ავტორმა, რომ აქვს საშუალება ამბავი მოყვეს მულტიმედია პროდუქტის გამოყენებით.
- მაგ. აუდიო ან ვიდეო მასალა, რომელიც უკეთ მიაწვდის გამომძიებელი ჟურნალისტის მიერ მოპოვებულ ინფორმაციას ვებგვერდის აუდიტორიას (დაზარალებულის მოკლე ინტერვიუ, ფაქტის ამსახველი მასალა და ა.შ.).
- ამბავის მოსაყოლად გამოიყენოს ინფოგრაფიკები ან ფოტორეპორტაჟი+ტექსტი
- სტატია არ უნდა იყოს ძალიან გრძელი, მაქსიმუმ Word ფაილის ორი გვერდი, მინიმუმ ნახევარი.
- ფილმის ავტორს, აქვს საშუალება მოამზადოს სტატია სიუჟეტის ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილზე, ან დაყოს იგი რამდენიმე დამოუკიდებელ სტატიებად. (მოკლე სტატია უნდა იყოს დასრულებული კონკრეტული ამბავიდა ვრცელი ვერსიის სანახავად მიუთითოს ფილმის ლინკი, რომელიც ასევე განთავსდება ჩვენს ვებგვერდზე).

ვ.ბ) რადიოს სიუჟეტის სტანდარტების:

- ამბავი (სიუჟეტის თემა) უნდა იყოს მაქსიმალურად გასაგები და ლიტერატურულად გამართული ენით მოთხრობილი.
- სიუჟეტში გადმოცემული მოვლენა უნდა იყოს ამომწურავი რადიო მსმენელისთვის. ის, რასაც ტელე ეთერში მიმდინარე მოვლენის აღსაწერად კადრის მეშვეობით ასახავენ უნდა გადმოსცეს (მოგვითხროს) ჟურნალისტმა (ან რესპოდენტმა)
- დასახელებული უნდა იყოს ყველა რესპოდენტი, ადგილი, მოქმედება.

კონკურსში გამარჯვებული ვალდებული იქნება მიაწოდოს მაუწყებელს არანაკლებ ერთი საგამოძიებო დოკუმენტური ფილმი ყოველი თვის 20 რიცხვამდე.

მისაწოდებელ საგამოძიებო დოკუმენტურ ფილმებზე საავტორო უფლებები ეკუთვნის სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიას და რადიოს“

კონკურსის ეტაპები:

ა) კონკურსის გამოცხადება;

ბ) განაცხადის წარდგენა;

გ) განაცხადის დასაშვებობის შემოწმება;

დ) კომისიის მიერ პროექტების შეფასება პროექტების შეფასების კრიტერიუმების მიხედვით და გამარჯვებული პროექტის გამოვლენა;

ე) ხელშეკრულების გაფორმება

გამარჯვებულთან ფორმდება მომსახურების ხელშეკრულება.

განაცხადის წარდგენის წესი:

1.განაცხადი შედგენილი უნდა იქნეს სახელმწიფო ენაზე. თუ განაცხადი ან მასზე დართული დოკუმენტაცია შედგენილია არასახელმწიფო ენაზე, განმცხადებელი ვალდებულია კონკურსის გამოცხადების შესახებ განცხადებაში მითითებულ ვადაში, რომელიც არ უნდა სცილდებოდეს განაცხადის მიღების საერთო ვადას, წარადგინოს

განაცხადის ან მასზე დართული დოკუმენტაციის სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანი.

2. განაცხადი კომისიას წარედგინება მაუწყებლის იურიდიულ მისამართზე, ან მაუწყებლის ელექტრონულ ფოსტაზე info@ajaratv.ge გაგზავნის გზით.

3. ელექტრონული ფორმით განაცხადის მიღების თარიღად და დროდ ითვლება მისი გაგზავნის თარიღი და დრო, რომელიც მითითებულია ელექტრონულ ფოსტაზე. განაცხადი მიღებულად არ ითვლება, თუ განმცხადებელს არ დაუბრუნდა შეტყობინება, იმის შესახებ, რომ დოკუმენტები მიღებულ იქნა და შესაძლებელია მისი წაკითხვა.

შენიშვნა:

კონკურსთან დაკავშირებული სხვა საკითხები, მათ შორის დაფინანსებასთან დაკავშირებული საკითხები მოწესრიგებულია მაუწყებლის დირექტორის 2018 წლის 20 აპრილის N02-03/14 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ მიერ ტელერადიოპროდუქციისა ან/და მასთან დაკავშირებული მომსახურების შესყიდვის წესით/დებულებით (გამოქვეყნებულია http://adjaratv.ge);